3493/3-37/21 2 14042021

3493/3-37/21
14-04-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ". მოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიწაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ქალი მეწარმეებისთვის, რაც თავის მხრივ, ქალებს კრედიტზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს. საკითხი საჭიროებს სახელმწიფოს მხრდან გზების მოძებნას, რომელიც მეწარმე ქალებისთვის მიწაზე ხელმისაწვდომობას გააუმჯობესებს.

პრობლემაზე რეაგირების მიზნით, საბჭომ, იუსიტიციის სამინისტროს მიმართ გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში მონაწილე ქალებისთვის შესაძლებელი გახდეს მიწის რეგისტრაცია შესაბამისი სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის გარეშე;

2. შემუშავდეს მექანიზმი (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად), რომელიც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (აპმა) პროგრამებში მონაწილე ქალებს შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოსგან მიწა იჯარით აიღონ აუქციონის გარეშე.

რეკომენდაციები სამინისტროს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სამინისტრომ თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი
რატი იონათამიშვილი

3492/3-37/21 2 14042021

3492/3-37/21
14-04-2021

დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ". მოკვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ თავად მეწარმე ქალების ჯგუფში არიან განსაკუთრებულად მოწყვლადი ჯგუფები - დევნილი ქალები, რომლთა საჭიროებების გათვალისწინება სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ცალკე ყურადღებას საჭიროებს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საბჭომ სააგენტოს მიმართ გასცა შემდეგი რეკომენდაცია:

- შესაძლებლობის ფარგლებში გაზარდოს ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების ბიუჯეტი.

რეკომენდაცია სააგენტოს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, მომაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სააგენტომ რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი
რატი იონათამიშვილი

3491/3-37/21 2 14042021

3491/3-37/21
14-04-2021

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრს

ქალბატონ ნათია თურნავას

ქალბატონო ნათია,

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ". მოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კომპლექსური პრობლემებით არის განპირობებული, რაც საქართველოს მთავრობის და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდეგში "სამინისტრო") მხრიდან თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს. პრობლემებზე რეაგირების მიზნით, გენდერული თანასწორობის საბჭომ სამინისტროს მიმართ გასცა რეკომენდაცია შემდეგ საკითხზე მუშაობის დასაწყებად:

- "ქალთა ბიზნესის" სერთიფიცირების კონცეფციის შემუშავება, მასერთიფიცირებელი ორგანოს და სერთიფიცირების წესის განსაზღვრა;

რეკომენდაცია სამინისტროს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სამინისტრომ აღნიშნული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი
რატი იონათამიშვილი

3490/3-37/21 2 14042021

3490/3-37/21
14-04-2021

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ (შემდგომში "საბჭო") ჩაატარა თემატური მოკვლევა "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ".

მოკვლევის შედეგებმა გამოავლინა, რომ მიწაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს ქალი მეწარმეებისთვის, რაც თავის მხრივ, ქალებს კრედიტზე ხელმისაწვდომობას უზღუდავს. საბჭომ მიიჩნია, რომ საკითხი საჭიროებს სამინისტროს მხრიდან გზების მოძებნას, რათა გაუმჯობესდეს მეწარმე ქალებისთვის მიწაზე ხელმისაწვდომობა.

მოკვლევის ფარგლებში ასევე გამოვლინდა რომ სოფლებში/რაიონებში მწირი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა (სამაცივრე, სასაწყობე, საშრობი მეურნეობები) შემაფერეხებელი ფაქტორია ადგილობრივი მეწარმეებისთვის, რომ შეუფერხებლად აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და შემდგომ, მოახდინონ მისი რეალიზაცია. საბჭომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ინფრასტრუქტურის განვითარება მხოლოდ კერძო პირების ინიციატივაზე არ უნდა იყოს მინდობილი, არამედ, სახელმწიფომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მის განვითარებაზე.

საკითხებზე რეაგირების მიზნით, საბჭომ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ, გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

- პირველ საკითხთან დაკავშირებით:

შემუშავდეს მექანიზმი (იუსტიციის სამინისტროსთან ერთად), რომელიც სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს (აპმა) პროგრამებში მონაწილე ქალებს შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოსგან მიწა იჯარით აიღონ აუქციონის გარეშე.

- მეორე საკითხთან დაკავშირებით:

  რეგიონების მიხედვით უზრუნველყოფილი იქნეს აუცილებელი სასოფლო სამეურნეო ინფრასტრუქტურა (სამაცივრე, სასაწყობე, საშრობი მეურნეობები) და ასეთი ინფრასტრუქტურის შექმნა მინდობილი არ იყოს მხოლოდ კერძო პირების ინდივიდუალურ ინიციატივებს.

რეკომენდაციები სამინისტროს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სამინისტრომ თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი
რატი იონათამიშვილი

3489/3-37/21 2 14042021

3489/3-37/21
14-04-2021

საქართველოს მთავრობას

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ". მოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კომპლექსური პრობლემებით არის განპირობებული, რაც საქართველოს მთავრობის მხრიდან თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს.

პრობლემებზე რეაგირების მიზნით, გენდერული თანასწორობის საბჭომ მთავრობის მიმართ გასცა რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე მუშაობის დასაწყებად:

1. "ქალთა ბიზნესის" სერთიფიცირების კონცეფციის შემუშავება, მასერთიფიცირებელი ორგანოს და სერთიფიცირების წესის განსაზღვრა;
2. გენდერულად პასუხისმგებლიანი შესყიდვების პრინციპის შემუშავება და საკითხზე ცნობადობის ამაღლება სახელმწიფო და კერძო სექტორებში;
3. მოკვლევის დაწყება იმ მექანიზმების შესასწავლად, რომელიც საჯარო შესყიდვებში სერთიფიკატის მქონე კომპანიებისგან პროდუქციის შეძენას წაახალისებს;
4. სამეწარმეო პროგრამების შემუშავებისას, ქვეყნისთვის ეკონომიკურად პრიორტეტული დარგების განსაზღვრა;
5. მოკვლევის დაწყება განვითარების ბანკის შექმნის პერსპექტივების შესახებ.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა საქართველოს მთავრობამ თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი
რატი იონათამიშვილი

3477/3-37/21 2 14042021

3477/3-37/21
14-04-2021

სსიპ "აწარმოე საქართველოს" დირექტორს

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ". მოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში, მათ შორის - პროგრამა "აწარმოე საქართველოში" ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კომპლექსური პრობლემებით არის განპირობებული, რაც შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან თანმიმდევრული ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

პრობლემებზე რეაგირების მიზნით, გენდერული თანასწორობის საბჭომ სსიპ "აწარმოე საქართველოში" მიმართ გასცა რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე მუშაობის დასაწყებად:

1. დაიწყოს პროექტების შესახებ გენდერული სტატისტიკის წარმოება. კერძოდ, შემოსული განცხადებების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავდეს გენდერულ ჭრილში;

2. განხორციელდეს დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივვადიანი მონიტორინგი და შეფასება. ასევე, განხორციელდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოება;

3. გაიმიჯნოს პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები და მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება;

4. განაცხადის ელექტრონულად შევსების შემთხვევაში, აპლიკანტებს მიეცეთ შესაძლებლობა ისარგებლონ კონსულტანტების დახმარებით სააგენტოს რეგიონულ უწყებებში;

5. პროექტების წარმოებისთვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდეს ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;

6. ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, სააგენტომ მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები;

7. გაიზარდოს პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში;

8. საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს ინ- ფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენაზე, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ. ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.);

9. შეიქმნას წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდეს მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში;

10. სააგენტომ, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავოს როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და მათი წახალისების მექანიზმები;

11. კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდეს მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ. დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება);

12. სააგენტოს მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატოს აპლიკანტთა და ბენეფიციართა კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება:
    - პოტენციური აპლიკანტების მომზადება ბანკის კრედიტ ოფიცერთან გასაუბრებისთვის (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა);
    - დაფინანსებული ბენეფიციარებისათვის ბიზნესკონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.);

13. სააგენტომ შეიმუშავოს საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები სააგენტოს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სააგენტომ თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი
რატი იონათამიშვილი

3529/3-37/21 2 15042021

3529/3-37/21
15-04-2021

სოფლის განვითარების სააგენტოს

მოგეხსენებათ, რომ 2019 წელს საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ ჩაატარა თემატური მოკვლევა "სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ". მოკვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს პროექტებში (შემდგომში "აპმა"), ქალთა მონაწილეობის დაბალი მაჩვენებელი კომპლექსური პრობლემებით არის განპირობებული. საკითხი შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან თანმიმდევრული ღონისძიებების განხორციელებას საჭიროებს.

პრობლემებზე რეაგირებისთვის, გენდერული თანასწორობის საბჭომ აპმა-ს მიმართ გასცა რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე მუშაობის დასაწყებად:

1. დაიწყოს პროექტების შესახებ გენდერული სტატისტიკის წარმოება. კერძოდ, შემოსული განცხადებების, დაფინანსებული და დაუფინანსებელი პროექტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია დამუშავდეს გენდერულ ჭრილში;

2. განხორციელდეს დაფინანსებული პროექტების ხანგრძლივვადიანი მონიტორინგი და შეფასება. ასევე, განხორციელდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოება;

3. გაიმიჯნოს პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები და მონიტორინგზე/შეფასებაზე პასუხისმგებელი პირი/უწყება;

4. განაცხადის არაელექტრონული ფორმით წარდგენის შემთხვევაში მაქსიმალურად გამარტივდეს აპლიკაციის პროცესი: შესაძლებელი გახდეს განაცხადის ჩაბარება რეგიონულ ოფისებში. შესაძლებლობის ფარგლებში შემცირდეს თბილისში საჭირო ვიზიტების რაოდენობა;

5. შემუშავდეს სპეციალური სერვისი, რომელიც აპლიკანტებს საკურიერო მომსახურებას გაუწევს: კვირაში ან 2 კვირაში ერთხელ გააგზავნის ნიმუშებს რეგიონიდან თბილისში და თბილისიდან გამოაგზავნის სხვადასხვა უწყების მიერ გაცემულ ცნობებს;

6. აპმა-ს პროექტებში ჩართულმა ლაბორატორიებმა ეტაპობრივად დაიწყონ მიღებული ნიმუშის შესახებ ცნობების ელექტრონულ რეჟიმში გაცემა, რომელიც პირდაპირ გაეგზავნება აპლიკანტს და აპმა-ს;

7. პროექტების წარმოებისთვის საჭირო დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი გახდეს ორ ენაზე ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში;

8. ინფორმაციის გავრცელებისა და პროგრამების შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად, სააგენტომ მაქსიმალურად გამოიყენონ რეგიონში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები;

9. გაიზარდოს პროგრამების შესახებ ინფორმირებულობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, რათა მათ შეძლონ დაინტერესებული პირების გადამისამართება შესაბამის ოფისებში;

10. საინფორმაციო კამპანიის შემუშავების დროს ყურადღება გამახვილდეს ინ-ფორმაციის (პოსტერების) ისეთ სივრცეებში გამოფენაზე, სადაც ქალი ყველაზე ხშირად დადის (მაგ. ადგილობრივი ბაზრობა, საბავშვო ბაღები, სკოლები და ა.შ.);

11. შეიქმნას წარმატებული ბენეფიციარი ქალების ქსელი და მოხდეს მათი, როგორც მენტორების ჩართვა პროგრამებში;

12. სააგენტომ, საკუთარი პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიმუშავოს როგორი იქნება მენტორების ფუნქცია/მოვალეობები და მათი წახალისების მექანიზმები;

13. აპმა-მ (აწარმოე საქართველოში გამოცდილების მიხედვით) განიხილოს საკრედიტო-საგარანტიო სქემის შემოღება ისეთი სიცოცხლისუნარიანი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები;

14. კაცების მიერ პროგრამაში განაცხადის გაკეთების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს თანაგანმცხადებლად ოჯახის წევრი ქალის რეგისტრირება; შემუშავდეს მექანიზმები მსგავსი პრაქტიკის წახალისებისათვის (მაგ. დამატებითი ქულის მინიჭება ან თანადაფინანსების მეტი წილის შეთავაზება);

15. აპმა-ს პროექტებში, რომელშიც მიწის ფლობა წარმოადგენს დაფინანსების წინაპირობას, ქალების შემთხვევაში საკმარისი იყოს მეუღლის სახელზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის შესახებ ცნობა;

16. სააგენტოს მიერ შეთავაზებულ სერვისებს დაემატოს აპლიკანტთა და ბენეფიციართა კონსულტირება და ტრენინგების მიწოდება:
    - პოტენციური აპლიკანტების მომზადება ბანკის კრედიტ ოფიცერთან გასაუბრებისთვის (როგორ უნდა წარადგინონ ბიზნეს იდეა);
    - დაფინანსებული ბენეფიციარებისთვის ბიზნესკონსულტირებისა და სხვა გამჭოლი თემების შესახებ (ბრენდირება, ეტიკეტირება ა.შ.);

17. სააგენტომ შეიმუშავოს საპილოტე, მცირემასშტაბიანი პროგრამა მხოლოდ ქალებისათვის ზემოთ მითითებული მახასიათებლების გათვალისწინებით.

რეკომენდაციები სააგენტოს გამოეგზავნა 2019 წლის ივნისში.

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა ღონისძიებები გაატარა სააგენტომ თითოეული რეკომენდაციის შესასრულებლად.

პატივისცემით,

გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო

საბჭოს წევრი
რატი იონათამიშვილი